

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს დირექტორის

ბრძანება №07
2019 წლის 12 აგვისტო

ქ. ბათუმი

„კომპეტენციის, კვალიფიკაციის და სხვა სერტიფიკატის მიღებისა და მისი განახლებისათვის საჭირო გამოცდების ჩატარების წესის“ დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სსიპ – საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს 2012 წლის 1 ნოემბრის №026 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტისა და საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2011 წლის 14 აპრილის №1-1/585 ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს დებულების“ მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, ვბრძანებ:

მუხლი 1

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სსიპ – საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს 2012 წლის 1 ნოემბრის №026 ბრძანებით დამტკიცებული „კომპეტენციის, კვალიფიკაციის და სხვა სერტიფიკატის მიღებისა და მისი განახლებისათვის საჭირო გამოცდების ჩატარების წესში“ შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილებები:

ა) წესის მე-7 მუხლის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. მეზღვაური, რომელსაც სურს რანგის ამაღლება კაპიტნის, კაპიტნის უფროსი თანაშემწის, უფროსი მექანიკოსის, მეორე მექანიკოსის, სავახტო თანაშემწის, სავახტო მექანიკოსის ან ელექტროტექნიკოს ოფიცერის თანამდებობაზე გამოცდას აბარებს ტესტირებისა და გასაუბრების ფორმით.“;

ბ) წესის მე-7 მუხლის მე-4 პუნქტი ამოღებულ იქნეს.

გ) წესის მე-9 მუხლის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. გასაუბრებას ატარებს გასაუბრების კომისია, რომლის მუშაობაში შესაძლებელია მონაწილეობა მიიღოს მოწვეულმა ექსპერტმა.“;

დ) წესის მე-9 მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის 2¹ პუნქტი:

„2¹. ექსპერტად მოწვეულ პირს უნდა გააჩნდეს ბოლო 5 წლის განმავლობაში მინიმუმ 12 თვის გამოცდილება კაპიტნის ან უფროსი მექანიკოსის რანგში.“;

ე) წესის მე-9 მუხლის მე-4 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„4. გასაუბრების კომისიის შემადგენლობა უნდა იყოს კენტი რაოდენობის, რომელიც შედგება არანაკლებ 3 (სამი) წევრისგან. კომისია გადაწყვეტილებას იღებს ხმათა უბრალო უმრავლესობით.“;

ვ) წესის მე-10 მუხლის მე-5 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„5. თუ მეზღვაური ვერ გაივლის განმეორებით გასაუბრებას, მას შეუძლია შემდეგი გასაუბრების გავლა მხოლოდ ერთი კვირის შემდეგ.“;

ზ) წესის მე-10 მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-6 და მე-7 პუნქტები:

„6. თუ მეზღვაური საპატიო მიზეზით ვერ ცხადდება გასაუბრებაზე, იგი ვალდებულია აღნიშნულის შესახებ აცნობოს სააგენტოს 1 დღით ადრე, გამოცდაზე გამოუცხადებლობის მიზეზის მითითებით.

7. არასაპატიო მიზეზით გასაუბრებაზე გამოუცხადებლობის შემთხვევაში, მეზღვაურს გასაუბრებაზე



გამოსვლის უფლება ეძლევა 2 კვირის შემდეგ.“

თ) წესის მე-11 მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„3. თუ საპრეტენზიო კომისია დარწმუნდება, რომ შეფასება არ არის სწორი, იგი უფლებამოსილია განიხილოს გამოცდის შეფასება და მიიღოს შესაბამისი გადაწყვეტილება.

4. საპრეტენზიო კომისიის გადაწყვეტილება აისახება შესაბამის ოქმში.“;

ი) წესის მე-13 მუხლი ჩამოყალიბდეს ახალი რედაქციით:

„მუხლი 13. მეთვალყურეობა გამოცდის ჩატარებაზე

1. გამოცდის ჩატარებაზე მეთვალყურეობა ხორციელდება საგამოცდო დარბაზში (ოთახში) დამონტაჟებული ვიდეომეთვალყურეობის საშუალებით, ხოლო ტესტირების გამოცდა ასევე, სააგენტოს უფლებამოსილი თანამშრომლის მეთვალყურეობით.

2. გასაუბრების აუდიო-ვიდეო ჩანაწერების არქივირება ხდება DVD ფორმატის დისკზე არანაკლებ თვეში ერთხელ და ინახება 5 წლის ვადით.“.

მუხლი 2

ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

სსიპ საზღვაო ტრანსპორტის
სააგენტოს დირექტორი

თამარ იოსელიანი

